



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 178/3

30/05/2017

„საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №136/3 ბრძანებით დამტკიცებულ პარლამენტის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში დამატებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების, 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 24 მაისის №8382 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 27 ივლისის №136/3 ბრძანებით დამტკიცებული პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის:

ა) მე-13 მუხლის:

ა.ა) მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) უფროსი სპეციალისტი 1“;

ა.ბ) ბოლოს სიტყვები „სულ 37“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ 38“;

ბ) 23-ე მუხლის შემდეგ სიტყვები „სულ სამდივნოები, დეპარტამენტები და სამსახური 456“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ სამდივნოები, დეპარტამენტები და სამსახური 457“;

გ) მე-40 მუხლის შემდეგ სიტყვები „სულ აპარატი – 635.“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ აპარატი – 636.“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

